აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

დიპლომირებული სტომატოლოგი
(ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა)

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი - სეუ

შეფასების თარიღი: 17.03.2023

დასკვნის წარდგენის თარიღი: 19.05.2023

თბილისი
2023

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 13

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 13

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 22

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 30

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 33

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 40

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ** **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	208215509
დაწესებულების სახე	**სასწავლო უნივერსიტეტი**

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო კორსანტია სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკატერინე ბეშკენაძე სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ცოტნე სამადაშვილი კავკასიის მედიცინის ცენტრი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქრისტინე ჩიხლაძე სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი მღვდელაძე სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	**დიპლომირებული სტომატოლოგი**
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Dental Medicine
უმაღლესი განათლების საფეხური	**ერთსაფეხურიანი**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	**დიპლომირებული სტომატოლოგი** Doctor of Dental Medicine (DMD)
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	**დენტალური მედიცინა 0911**
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	
სწავლების ენა	**ინგლისური**
ECTS კრედიტების რაოდენობა	**300**
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	**ახალი**
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა ახალია, გადის აკრედიტაციის პროცედურებს, არის 5 წლიანი, მოიცავს სწავლების 10 სემესტრს და 300 კრედიტს.

თვითშფასების ანგარიშის მიხედვით პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს უნივერსიტეტის 30 აკადემიური (14 პროფესორი, 6 ასოცირებული პროფესორი, 10 ასისტენტ პროფესორი) და 43 მოწვეული პერსონალი.

საგანმანათლებლო პროგრამის და სილაბუსების გაცნობიდან ირკვევა, რომ პროგრამის მიზანია სტუდენტისთვის ცოდნის მიცემა, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული უნარ-ჩვევების კუთხით. უნივერსიტეტში მიმდინარეობს სიმულაციური სტომატოლოგიური ცენტრის აწყობა, სადაც სტუდენტები მიიღებენ როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ცოდნას, უმეტესად მანეკენებზე და ფანტომებზე მუშაობის გზით. უნივერსიტეტს მემორანდუმები აქვს გაფორმებული რამდენიმე სტომატოლოგიურ კლინიკასთან, სადაც ხელშეკრულების თანახმად ჩატარდება პრაქტიკული მეცადინეობები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი შედგა 2023 წლის 17 მარტს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს წინასწარ გადმოგვეგზავნა უნივერსიტეტიდან გამოგზავნილი დოკუმენტაცია. დამატებითი საბუთები და მასალები, მოთხოვნის შემდგომ გადმოგვეცა ადგილზე, წინააღმდეგობების გარეშე ჩატარდა ჩვენთვის საინტერესო პირების გამოკითხვა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება ინტერვიუს გარკვეული ნაწილი (აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან) ჩატარდა ინგლისურ ენაზე, გამოკითხულთა ნაწილმა აჩვენა ენის სათანადო ცოდნა, თუმცა არსებობდნენ პირები, რომელთაც უარი განაცხადეს ინგლისურ ენაზე კომუნიკაციაზე, შესაბამისად ვერ ვადასტურებთ მათი ენის ცოდნას.

რადგან პროგრამა ახალია და ასევე მოქმედ მედიცინის პროგრამასაც არ ჰყავს კურსდამთავრებულები, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუები ჩატარდა მედიცინის პროგრამის სტუდენტებთან და სხვა პროგრამების კურსდამთავრებულებთან.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს. პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულებს მიაწოდოს დიპლომირებული

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

სტომატოლოგისთვის აუცილებელი ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარები და კომპეტენციები.

უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, გაცნობიერებას, უნარებს, ავტონომიურობას და პასუხისმგებლობას, რომლებიც სტუდენტმა უნდა შეიძინოს პროგრამის დასრულების შემდეგ.

სტომატოლოგიის პროგრამის სწავლის მისაღწევი შედეგების ჩამონათვალში ჭარბობს თეორიული ცოდნის ხვედრითი წილი, კურსდამთავრებულის მიერ შეძენილი პრაქტიკულ-კლინიკური კომპეტენციების ჩამონათვალი საკმაოდ მწირი და ზოგადია, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, სტომატოლოგიის პროგრამის კურსდამთავრებული მეტ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უნდა იძენდეს. მიზანშეწონილი იქნება, პროგრამის სწავლის შედეგების კლინიკური და პრაქტიკული უნარების ჩამონათვალი იყოს უფრო დეტალიზებული, ჩანდეს, კონკრეტულად რისი გაკეთება შეუძლია სტუდენტს სტომატოლოგიის პროგრამის დასრულების შემდეგ.

პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, თუმცა რადგან პროგრამა ახალია, სწავლის შედეგების შეფასების ეტაპები ჯერ არ განხორციელებულა, არსებობს მხოლოდ დოკუმენტაცია.

პროგრამის განვითარების პროცესში იგეგმება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების ჩართვა, განვლილი კურსის და მთლიანად პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი, მომდევნო სემესტრში განსახორციელებელი აქტივობები.

პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელიც ამ ეტაპზე უკვე ჩართულები არიან უნივერსიტეტის მოქმედ მომიჯნავე პროგრამებში/სასწავლო კურსებში, იცნობენ სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს და ადასტურებენ ამ პროცესში მათ მონაწილეობას.

კურიკულუმის რუკა, რომელიც შემუშავებულია უნივერსიტეტში დანერგილი მეთოდოლოგიის საფუძველზე და ითვალისწინებს სასწავლო კურსების შესაბამისობას სწავლის შედეგებთან 3 სხვადასხვა დონეზე (გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცება) ვფიქრობთ, საჭიროებს გადახედვას და დაზუსტებას. ასევე მიგვაჩნია, რომ სამიზნე ნიშნულები ძალიან მაღალია, შესაძლოა იყოს მიუღწევადიც, შესაბამისად ასევე საჭიროებენ გადახედვას.

სტომატოლოგიის პროგრამა მიმდინარეობს სემესტრულად და გააჩნია თანმიმდევრული სტრუქტურა. თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა განსაზღვრულია კრედიტებით.

თითოეულ სასწავლო კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურადაა შემუშავებული, პროგრამის სტრუქტურა სტუდენტებისთვის ადეკვატური და კარგად აღსაქმელია. სილაბუსები წარმოდგენილია უახლესი ლიტერატურით.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ უხეში შეცდომები ფიქსირდება საკმაოდ ბევრ სილაბუსში. სამწუხაროდ ეს ეხება თითქმის ყველა სპეციალობის სასწავლო კურსის სილაბუსს.

სილაბუსების ქართული ვერსიები ნათარგმნია ისეთი შეცდომებით და ისეთი რაოდენობითაა, რომ ყველანაირად უკარგავს ამ მნიშვნელოვან დოკუმენტებს იურიდიულ ძალას.

სილაბუსებში ასევე ძალიან ზოგადადაა მოწოდებული ინფორმაცია მიმდინარე, შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულების განაწილებაზე.

სილაბუსებიდან და ინტერვიუს შედეგებიდან ირკვევა, რომ პაციენტის მიღება სტუდენტს შეუძლია მხოლოდ X სემესტრში, თუმცა სილაბუსებში არ ჩანს კონკრეტულად, პრაქტიკულად რას აკეთებს თვითონ სტუდენტი და შესაბამისად სემესტრის განმავლობაში მისი კლინიკური აქტივობა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები როგორ ფასდება. რჩება შთაბეჭდილება, რომ პრაქტიკულ კომპონენტებად ძირითადად სიტუაციური ამოცანების განხილვა, დიაგნოზის დასმა და ექიმის ასისტირება მოისაზრება.

ზოგიერთი პრაქტიკული სასწავლო კურსის სილაბუსებში გამოცდის ფორმად მითითებულია OSCE, თავისი მხოლოდ ზოგადი მონაცემებით, ბევრგან არ არის დაკონკრეტებული რომელი პრაქტიკულად დასწავლილი კომპეტენციების შეფასება იგეგმება. აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო კურსების სილაბუსებით, კალენდარული ცხრილებით, შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის საჭირო შეფასების კრიტერიუმებით, ტიპური ტესტებითა და ღია კითხვებით, საგამოცდო სადგურების გეგმით, იყოს დასრულებული სახით.

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

დიპლომირებული სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, გაწერილია პროგრამაში, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

უნივერსიტეტის ფარგლებში, იგეგმება საუნივერსიტეტო საფანტომო და კლინიკური სიმულაციის ბაზის აღჭურვა, შესაბამისი სასწავლო პროგრამის ფარგლებში, რაც თავისთავად სწავლების მეთოდების ეფექტურობის მაჩვენებლის ზრდას განსაზღვრავს.

პროგრამის სტუდენტებს პრაქტიკული უნარების (მაგალითად, პაციენტის კონსულტირება, პირველადი დახმარება, სხვადასხვა პროცედურის ჩატარება) განვითარების საშუალება ექნებათ უნივერსიტეტის სტომატოლოგიური სიმულაციის ლაბორატორიასა და სტომატოლოგიურ კლინიკებში. პრაქტიკის ორგანიზება იგეგმება კვალიფიციური პირის ზედამხედველობით.

თუმცა, ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ პრაქტიკული კომპონენტი მოიცავს ძირითადად საფანტომო კურსებს არსებულ საუნივერსიტეტო ბაზაზე, ხოლო კლინიკური როტაციის პირობებში - სტუდენტების ასისტირების შესაძლებლობებს, პაციენტებზე მარტივი სტომატოლოგიური მანიპულაციების ჩატარებას, რომელიც X სემესტრის სპეციალიზაციის ზოგიერთ სილაბუსში ჩამონათვალის სახით არსებობს, მაგრამ არ არის სტანდარტიზებული და შესაბამისად არ ატარებს სავალდებულო ხასიათს, ჩამონათვალი საკმაოდ ბევრია, შეფასება კი ეხება ნებისმიერ 5 აქტივობას. ამ ჩამონათვალში ჭარბობს იგივე ქულის შესაბამისად პაციენტების კონსულტირება, დიაგნოსტიკა, დიაგნოზის დასმა, მკურნალობის გეგმის შედგენა და სხვა. შესაბამისად პრაქტიკული უნარების განვითარება ხდება ნაწილობრივ, ძირითადად ფანტომებსა და სიმულატორებზე მუშაობით, ექიმის ყურების და ასისტირების გზით და მცირე დოზით უშუალოდ პაციენტებში, პროფესორ მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ. ამ ეტაპზე არც სილაბუსებშია დაკონკრეტებული პაციენტებზე განსახორციელებელი მანიპულაციების სტანდარტიზებული შეფასება.

სწავლების პროცესების ორგანიზება მიზნად უნდა ისახავდეს ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომელიც უზრუნველყოფს დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნის შეძენას, ასევე გარკვეული კომპეტენციის და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას.

სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, მონაწილეობა მიიღონ როგორც უნივერსიტეტის, ასევე სხვა უნივერსიტეტებისა და ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებში. უნივერსიტეტის მიერ პერიოდულად გამოიცემა სამეცნიერო ჟურნალი, სადაც ხვდება კონფერენციაზე წარდგენილ საუკეთესო მოხსენებებზე დაყრდნობით შემუშავებული სტატიები.

პროგრამა ახალია და შესაბამისად ჯერ გაცვლით პროექტებში სტუდენტები მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ. ამ ეტაპზე იგეგმება მედიცინის პროგრამიდან ორი სტუდენტის სტაჟირება ესპანეთში. ასევე მედიცინის სტუდენტები ჩართულები იყვნენ სხვადასხვა პროექტებში. სასურველია მსგავსი ღონისძიებები გატარდეს სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტებთანაც.

სასწავლო კურსებში გამოიყენება ისეთი სწავლება-სწავლის მეთოდები, როგორიცაა: ინტერაქტიული ლექციები, სემინარები, პრაქტიკული მეცადინეობები, დისკუსია-დებატები, როლური თამაშები, პრეზენტაციები.

პროგრამა ახალია, სასწავლო პროცესი კლინიკურ გარემოში ჯერ არ ხორციელდება, შესაბამისად წინასწარ არც ისაა ცნობილი, თუ რა შეღავათებით ისარგებლებენ პაციენტები სტუდენტთან მკურნალობის შემთხვევაში. წინასწარ არ არის ცნობილი თუ რამდენი სტომატოლოგიური დანადგარი იქნება გამოყოფილი კონკრეტულად სტუდენტისთვის.

უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების დროს, სტომატოლოგიური სიმულაციური ცენტრი ჯერ დასრულებული არ იყო, ოთახი იყო გარემონტებული, მიყვანილი კომუნიკაციებით, თუმცა დანადგარების და ავეჯის გარეშე. ინტერვიუს დროს და ასევე მოთხოვნილი დოკუმენტაციით დაგვიდასტურეს, რომ ინვენტარი წესით მაისის ბოლოს იქნება საქართველოში და მაშინვე მოხდება მისი მონტაჟი.

სხვა მხრივ, უნივერსიტეტი აღჭურვილია მედიცინის პროგრამისთვის საჭირო ყველა აუცილებელი ლაბორატორიით, სიმულაციის ცენტრით, აუდიტორიებით, ანატომიის, ჰისტოლოგიის და მიკრობიოლოგიის კაბინეტებით, საფანტომო სტომატოლოგიური კლასით, შესაბამისი ფანტომებით, სტომატოლოგიური მასალებითა და ინსტრუმენტებით.

თითოეულ დისციპლინაში მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

თითოეული სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება შედგება შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამისაგან. სწავლის შედეგის შეფასების სისტემა მოიცავს სხვადასხვა კომპონენტს (ზეპირი/წერითი გამოცდები, პრაქტიკული სამუშაო, გამოკითხვა), გამოიყენება შეფასების ისეთი მეთოდები, როგორიცაა: MCQ და ღია ტესტები, რეფერატი, პრეზენტაცია, ჯგუფური სამუშაო, OSCE, კლინიკური შემთხვევის განხილვა და სხვა.

სასწავლო კურსის სილაბუსებში პრაქტიკული უნარების შეფასება საფანტომო და კლინიკურ კლასებში მოისაზრება, მინიჭებული აქვს ქულა. კარგად არ ჩანს რა მანიპულაციები ფასდება

პაციენტზე. აუცილებელია შეფასდეს ჩატარებული უნარები და მოხდეს ამ უნარების სტანდარტიზება და აღრიცხვა. აუცილებლად უნდა მიეთითოს კონკრეტული ქულა რა აქტივობის მიღწევის შემდეგ მიიღება. იგივე ეხება OSCE-ის გამოცდების შეფასებისას.

სპეციალიზაციის სასწავლო კურსებზე, სადაც ისწავლება პრაქტიკული უნარები, დასკვნით გამოცდებზე ეს უნარები არ ფასდება (თერაპიული სტომატოლოგია 2, ორთოპედიული სტომატოლოგია 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, ქირურგიული სტომატოლოგია 2, 4, 5, 6, ბავშვთა თერაპიული სტომატოლოგია). სასურველია დასკვნით გამოცდაზე დაემატოს შეფასების ეს მეთოდიც.

ცალკე უნდა აღინიშნოს შუალედური და დასკვნითი გამოცდების გამსვლელი ქულების მაჩვენებელი. სილაბუსებიდან და ინტერვიუს შედეგებიდან ირკვევა, რომ ეს მაჩვენებელი 30%-ის ტოლია. შუალედური ქულა იქნება დადებითი, თუ სტუდენტი მიიღებს 60-დან 18 ქულას, ხოლო დასკვნით გამოცდაზე 40-იდან 12 ქულას! ეს მაჩვენებელი ძალიან დაბალია. გამოდის, რომ სტუდენტმა სასწავლო კურსის დასკვნით გამოცდაზე კურსის ნახევარიც კი არ იცის და საგანი ჩაბარებული აქვს.

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

სეუ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას. სტუდენტებს ემსახურება სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურეობის ცენტრი, სტუდენტები სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით იღებენ ყველა იმ საჭირო დახმარებასა და კონსულტაციას, რომელიც აუცილებელია: სასწავლო პროცესის დასაგეგმად, აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, დასაქმებაზე კონსულტაციასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებულ მხარდაჭერას.

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის გამხორციელებაში ჩართულია 73 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. მათ შორის 30 აკადემიური პერსონალი და 43 მოწვეული პერსონალი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამისი დიპლომებით, სერტიფიკატებით, აკადემიური პერსონალიდან დარგის სპეციალისტი მხოლოდ ხუთია, პროგრამის მდგრადობისთვის სასურველია ეს მაჩვენებელი მომავალში გაიზარდოს.

აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ ლექტორებთან განხორციელებული ინტერვიუების პროცესში გაირკვა, რომ მათი ნაწილი ვერ ფლობს ინგლისურ ენას, ზოგიერთმა მათგანმა უარი განაცხადა ინგლისურ ენაზე ინტერვიუს წარმართვაზე. შესაბამისად, რეკომენდებულია, უსდ-მ შეიმუშაოს ახალი მექანიზმები პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციის გადასამოწმებლად და დასადასტურებლად. გარდა ამისა, პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის ნაწილს არ ჰქონდა სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის შესახებ, ასევე კარგად არ იცნობდნენ შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებს, სასწავლო და საგამოცდო პროცესს, აუცილებელია ასევე ამ ხარვეზის გამოსწორებაც.

პროგრამას ჰყავს 1 ხელმძღვანელი და 1 თანახელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელს და თანახელმძღვანელს გააჩნიათ დოქტორის აკადემიური ხარისხი, პროგრამის შემუშავებისათვის

აუცილებელი ცოდნა, კომპეტენცია და გამოცდილება და უშუალოდ არიან ჩართული პროგრამის განხორციელებაში

უნივერსიტეტში მოქმედებს პერსონალის წახალისების სისტემა, ხორციელდება ქულობრივი შეფასება და გათვალისწინებულია ფინანსური დანამატები.

უნივერსიტეტს არ აქვს საკუთარი სტომატოლოგიური კლინიკა, თუმცა უნივერსიტეტის სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, სიმულაციური სტომატოლოგიური კაბინეტები, აღჭურვილი შესაბამისი მულაჟებით, მანეკენებით, საჭირო ინვენტარით, მასალებით და ინსტრუმენტებით და პარტნიორ სამედიცინო დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმები. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის საშუალებას იძლევა.

ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია ელექტრონული ბაზები, სილაბუსებში მითითებული სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით. ბიბლიოთეკის სერვისების შესახებ ინფორმაცია და სარგებლობის წესები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ელექტრონულ პორტალზე.

პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.

5. **სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

პროგრამის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში - სეუ, სხვა, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში, სისტემატიურად ტარდება პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება. მიღებული შედეგები გამოიყენება არსებული ნაკლოვანებების გამოსავლენად, მუშავდება სტრატეგია მათ აღმოსაფხვრელად, საუკეთესო შედეგების შესანარჩუნებლად და გასაუმჯობესებლად. ანალოგიური მოქმედებები განხორციელდება პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში.

პროგრამის გარე ხარისხის შეფასების მიზნით საწყის ეტაპზე გამოყენებულია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული აკრედიტაციის სტანდარტები, რომლებთან შესაბამისობაშიც დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შეფასდა წარმოდგენილი პროგრამა. ამასთან, პროგრამის საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით შემუშავების საწყის ეტაპზე გამოყენებულია ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი. დამატებით, პროგრამამ გაიარა გარე დამოუკიდებელი, კოლეგიალური შეფასებაც.

რაც შეეხება პროგრამისთვის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავების პროცესს, აღნიშნულში მონაწილეობა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს არ მიუღიათ. პროგრამის ხელმძღვანელები იცნობენ დაწესებულებაში არსებულ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, თუმცაღა აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინფორმირების დონე ძალიან დაბალია. ეს შესაძლებელია გამოწვეული იყოს იმ გარემოებით, რომ პროგრამა ახალია, თუმცაღა მიგვაჩნია, რომ პერსონალს, რომლებსაც არ აქვთ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის გამოცდილება, დეტალურად უნდა ეცნობოთ ყველა ის პირობა თუ ვალდებულება, რომელთა გაზიარებაც მოუწევთ პროგრამის განხორციელების პროცესში.

- **რეკომენდაციები**
    - რეკომენდებულია, გაიწეროს/ჩამოყალიბდეს მეტი სწავლის შედეგი სტუდენტთა კლინიკური და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისების მხრივ. სპეციალიზაციის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები იყოს რეალური, მიღწევადი და გაზომვადი.
    - რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით შემუშავებული მექანიზმი და დადგენილი სამიზნე ნიშნულები.
    - რეკომენდებულია გაიზარდოს სწავლება-სწავლის მეთოდებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი - სტუდენტთა კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან მათი უშუალო კონტაქტით, მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ და პაციენტების მიღება გახდეს სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი, როგორც მიღებულია მსოფლიოს ძალიან ბევრ უმაღლეს სასწავლებელში. ეს რეკომენდაცია ეხება როგორც სწავლა-სწავლების მეთოდების შემუშავებას, ისე პრაქტიკული უნარების განვითარებას.
    - გასწორდეს სილაბუსებში არსებული ტექნიკური და შინაარსობრივი შეცდომები, შესაბამისობაში მოვიდეს ინგლისურ და ქართულ ენებზე შედგენილი სილაბუსები, რადგან ორივე ვარიანტს თანაბარი იურიდიული ძალა გააჩნია.
    - სილაბუსებში დაკონკრეტდეს მიმდინარე, შუალედური და დასკვნითი შეფასებების კრიტერიუმები, OSCE-ის საგამოცდო სადგურების გეგმა, ჩასატარებელი მანიპულაციების ჩამონათვალი პაციენტებზე და ფანტომებზე და ამ მანიპულაციების შეფასება გაიწეროს უფრო დეტალურად, მითითებული იყოს კონკრეტული ქულა რა აქტივობის მიღწევის შემდეგ მიიღება. გასწორდეს ბიბლიოგრაფია.
    - სტომატოლოგიური მიმართულების სასწავლო კურსებში, სადაც კლინიკური და პრაქტიკული უნარ-ჩვევები შეისწავლება, აუცილებელია პრაქტიკული უნარების შეფასების კომპონენტის დამატება/დაკონკრეტება. სილაბუსებში დეტალურად უნდა იყოს ჩაშლილი სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის შეფასება პრაქტიკულ ნაწილში, მითითებული უნდა იყოს კონკრეტული ქულა რა აქტივობის მიღწევის შემდეგ მიიღება.
    - აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო კურსების სილაბუსებით, კალენდარული ცხრილებით, შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის საჭირო შეფასების კრიტერიუმებით, ტიპური ტესტებითა და ღია კითხვებით, OSCE-ს საგამოცდო სადგურების გეგმით, იყოს დასრულებული სახით.
    - რეკომენდებულია, უსდ-მ შეიმუშაოს ახალი მექანიზმები პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციის გადასამოწმებლად და დასადასტურებლად.
    - რეკომენდებულია, პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი მეტად იყოს ინფორმირებული პროგრამის შესახებ, იცნობდნენ შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებს, სასწავლო და საგამოცდო პროცესს.
    - რეკომენდებულია, პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურად იყოს ჩართული პროგრამის შემუშავების, ასევე მისი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განსაზღვრის პროცესში.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - სასურველია უნივერსიტეტის სტომატოლოგიურ ბაზებზე პაციენტებისთვის სტუდენტებთან მკურნალობა იყოს შეძლებისდაგვარად იაფი და შეღავათიანი.
  - სასურველია გაძლიერდეს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავება კონკრეტულად სტომატოლოგიის პროგრამასთან მიმართებაში, გაიზარდოს სტუდენთა ჩართულობა საერთაშორისო კონფერენციებში, საერთაშორისო გაცვლით პროექტებში.
  - სასურველია, თუ დასკვნითი გამოცდის გამსვლელი ქულა გაიზრდება და იქნება 50%+1-ზე მაღალი, 60% მაინც.
  - სპეციალიზაციის გარკვეულ სასწავლო კურსებზე, სადაც ისწავლება პრაქტიკული უნარები, სასურველია დასკვნით გამოცდაზე გარდა თეორიული ცოდნისა შეფასდეს ასევე პრაქტიკული უნარებიც.
  - სასურველია პროგრამის სილაბუსებში ზუსტად იყოს გაწერილი საკონსულტაციო საათები, რათა უკეთ იქნეს უზრუნველყოფილი პროგრამაში ჩართული პირების მიერ სათანადო ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის უსდ-ში არსებული კონსულტაციების შესახებ.
  - ამ ეტაპზე აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია პროგრამაზე დაგეგმილი მისაღები სტუდენტების (21 სტუდენტი) რაოდენობასთან, თუმცა სტუდენტთა ზრდასთან ერთად სასურველია გაიზარდოს სტომატოლოგიის მიმართულებით აკადემიური პერსონალი პროგრამის მდგრადი განვითარებისთვის.
  - პერსონალური განვითარების გეგმა, რომელიც უსდ-ს მიერ აღნიშნულია თვითშეფასების ანგარიშში და საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს, ყველასთვის არ ხორციელდება, სასურველია ამ ხარვეზის გასწორება.
  - სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს დოკუმენტების შინაარსობრივი თუ ტექნიკური გამართულობა და ამ მიზნით, შესაბამისი სამიზნე პირების სამუშაო პროცესში აქტიური ჩართულობა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**[5]

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

დაწესებულებიდან გამოგზავნილი არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა მე-4 სტანდარტთან მიმართებაში, კერძოდ ინფორმაცია პერსონალური განვითარების გეგმის თაობაზე.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებას.

პროგრამის მიზნები ნათელი, რეალისტური და მიღწევადია და შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან და სტრატეგიასთან.

დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს. პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის, დამსაქმებლების, მომიჯნავე სპეციალობის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიერ.

პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულებს მიაწოდოს დიპლომირებული სტომატოლოგისთვის აუცილებელი ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარები და კომპეტენციები, რაც უზრუნველყოფს მათ შემდგომ სწავლას პროფესიული მიმართულებით და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიან სპეციალისტებად ჩამოყალიბებას; იმოქმედონ ექიმის პროფესიული, ეთიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობის პრინციპებით და ხელი შეუწყონ სფეროს განვითარებას მუდმივად ცვალებად გარემოში.

საქართველოს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მიზნით, შემუშავებული იქნა დიპლომირებული სტომატოლოგის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის მიზანია კურსდამთავრებულს გამოუმუშავოს ის კომპეტენციები, რომელიც უზრუნველყოფს მის მიერ პროფესიული განვითარების შემდგომ საფეხურზე სწავლის წარმატებით განხორციელებას, რათა მიიღოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება.

პროგრამის მიზნებში გათვალისწინებულია ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც გულისხმობს უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტებში სტუდენტებისთვის გაცვლითი პროგრამების შეთავაზებას.

პროგრამის მიზნები საჯაროა, განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე სტატუსით „აკრედიტაციის პროცესშია“ და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

მიზნები სრულად გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დიპლომირებული სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დოკუმენტაცია;
- ვებ-გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, გაცნობიერებას, უნარებს, ავტონომიურობას და პასუხისმგებლობას, რომლებიც სტუდენტმა უნდა შეიძინოს პროგრამის დასრულების შემდეგ.

უნივერსიტეტში შემუშავებულია „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებისა და შეფასების მეთოდოლოგია“, რომლის მიხედვითაც მოხდა დიპლომირებული სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავება და ჩამოყალიბება. აღნიშნულ პროცესში ჩართულები იყვნენ პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

საქართველოში სტომატოლოგიის პროგრამა ჯერ-ჯერობით რეგულირებადი არაა, შესაბამისად ჯერ არ არსებობს ვალდებულება სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას

დარგობრივი მახასიათებლების გათვალისწინებისა. თუმცა, ამ შემთხვევაში აუცილებელია ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების, ასევე მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკების და დარგობრივი მახასიათებლების გათვალისწინება. მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკა კი გულისხმობს მეტი პრაქტიკული კომპონენტის ჩართვას პროგრამაში, სტუდენტთა მეტ ინტეგრაციას კლინიკურ სივრცეში. ამ ეტაპზე აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგები ნაწილობრივ შეესაბამება მსოფლიოში არსებულ საუკეთესო პრაქტიკებსა და დარგობრივ მახასიათებლებს და ბაზრის მოთხოვნებს.

უახლოეს მომავალში უკვე საქართველოშიც დარგი - სტომატოლოგია გახდება რეგულირებადი, რაც ასევე ზრდის პროგრამის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, განსაკუთრებით კურსდამთავრებულთა სწავლის შედეგების კონტექსტში.

სტომატოლოგიის პროგრამის სწავლის მისაღწევი შედეგების ჩამონათვალში ჭარბობს თეორიული ცოდნის ხვედრითი წილი, კურსდამთავრებულის მიერ შეძენილი პრაქტიკულ-კლინიკური კომპეტენციების ჩამონათვალი საკმაოდ მწირი და ზოგადია, ძირითადი აქცენტები მიმართულია პაციენტის კონსულტირება-კომუნიკაციასთან, დიაგნოსტიკურ-პროფილაქტიკური პროცედურების ჩატარებასთან, მკურნალობის გეგმის შემუშავებასთან, პრევენციასთან, პირველადი დახმარების გაწევასთან, უსაფრთხოების ნორმების დაცვასთან. მხოლოდ ერთი წინადადებითაა შემოფარგლული სპეციალობაში მისაღწევი უნარი (უნარი #3): *„წარმართავს მკურნალობას თანამედროვე სტომატოლოგიური მასალების, უახლესი გაიდლაინებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით ყველა ასაკობრივ კატეგორიისა და სპეციალური საჭიროებების მქონე პაციენტებში“* და ამ კონკრეტულ სწავლის შედეგზე, რომელიც ერთადერთია, სადაც საუბარია მკურნალობის წარმართვაზე, არ გადის ისეთი სტომატოლოგიური სასწავლო კურსები, როგორებიცაა: ორთოპედიული სტომატოლოგიის 8 კურსი, სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკა, ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგიის 3 კურსი, ბავშვთა და მოზარდთა ყბა-სახის ქირურგიის 4 კურსი, ორთოდონტიის 4 კურსი. კონკრეტულად ამ უნარზე რუქის მიხედვით გადის მხოლოდ თერაპიული სტომატოლოგიის (6,7,8,9) და ქირურგიული სტომატოლოგიის (4,5,6,7) სასწავლო კურსები. ამ კურსების სილაბუსებიდან და ინტერვიუს შედეგებიდან ირკვევა, რომ თერაპიული სტომატოლოგია 6, 7 და 8 და ქირურგიული სტომატოლოგია 4, 5 და 6-ის სასწავლო კურსების სწავლების დროს პაციენტის მიღება საერთოდ არ ხდება და მაშინ როგორ გავა სასწავლო კურსი ამ შედეგზე? ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ სწავლების მანძილზე სტუდენტები პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს იძენენ უმეტესად ფანტომებსა და მანეკენებზე მუშაობით, ექიმის ყურება-ასისტირების და პაციენტებზე არასავალდებულო, არასტანდარტიზებული რაოდენობის მარტივი მანიპულაციების ჩატარების გზით (სწავლების X სემესტრში), პრაქტიკული უნარის ასეთი განზოგადებული ფორმულირება მიუღწევადი და ძნელად გაზომვადია.

დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, სტომატოლოგიის პროგრამის კურსდამთავრებული მეტ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უნდა იძენდეს. მიზანშეწონილი იქნება, პროგრამის სწავლის შედეგების კლინიკური და პრაქტიკული უნარების ჩამონათვალი იყოს უფრო დეტალიზებული, ჩანდეს, კონკრეტულად რისი გაკეთება შეუძლია სტუდენტს სტომატოლოგიის პროგრამის დასრულების შემდეგ.

თვითშეფასების ანგარიშზე, საგანმანათლებლო პროგრამასა და ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და მისი ყველა

კომპონენტის ერთობლიობა სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რადგან სპეციალობის პრაქტიკულ საგნებში სტუდენტთა კლინიკური მომზადების დეფიციტია. ეს არ ეხება მათი პრაქტიკული უნარების ათვისებას საფანტომო სივრცეში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- სწავლის შედეგების რუქა;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გაიწეროს/ჩამოყალიბდეს მეტი სწავლის შედეგი სტუდენტთა კლინიკური და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისების მხრივ.
- რეკომენდებულია სპეციალიზაციის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები იყოს რეალური, მიღწევადი და გაზომვადი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☐	☒	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, თუმცა რადგან პროგრამა ახალია, სწავლის შედეგების შეფასების ეტაპები ჯერ არ განხორციელებულა და ჩვენ შეგვიძლია შევაფასოთ მხოლოდ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება მოიცავს PDCA ეტაპებს, რომლებიც დაწვრილებითაა გაწერილი თვითშეფასების ანგარიშში და საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებისა და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტში. ამ უკანასკნელის მიხედვით, PDCA ციკლის პრინციპების გათვალისწინებით, სწავლის შედეგების შეფასების პირველი ეტაპია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება, რასაც მოსდევს პროგრამის განხორციელება, კურიკულუმისა და სწავლის შედეგების ანალიზი და შეფასება, ხოლო ბოლო ეტაპზე ხორციელდება პროგრამის გაუმჯობესებისათვის კონკრეტული ღონისძიებების /აქტივობების განხორციელება შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე. ამავდროულად, სწავლის შედეგების შეფასებისთვის იგეგმება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდების გამოყენება. იგეგმება შეფასების შედეგების მონიტორინგი, პროგრამის სამიზნე ნიშნულებთან დადარება, მიღებული შედეგების პროგრამის გასაუმჯობესებლად გამოყენება.

პროგრამის განვითარების პროცესში იგეგმება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების ჩართვა, განვლილი კურსის და მთლიანად პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი, მომდევნო სემესტრში განსახორციელებელი აქტივობები.

პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელიც ამ ეტაპზე უკვე ჩართულები არიან უნივერსიტეტის მოქმედ მომიჯნავე პროგრამებში/სასწავლო კურსებში, იცნობენ სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს და ადასტურებენ ამ პროცესში მათ მონაწილეობას.

პროგრამის აღწერილობითი დოკუმენტი მოიცავს რუკებს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების, პროგრამის სწავლის შედეგებისა და კომპეტენციებზე გამსვლელი სასწავლო კურსების (ე.წ. კურიკულუმის რუკა) შესაბამისობის შესახებ. ამავდროულად, განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის.

აღსანიშნავია, რომ კურიკულუმის რუკა, რომელიც შემუშავებულია უნივერსიტეტში დანერგილი მეთოდოლოგიის საფუძველზე და ითვალისწინებს სასწავლო კურსების შესაბამისობას სწავლის შედეგებთან 3 სხვადასხვა დონეზე (გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცება) ვფიქრობთ, საჭიროებს გადახედვას და დაზუსტებას. განსაკუთრებით ეს ეხება მე-2 და მე-13 სწავლის შედეგებზე განმტკიცების (M) დონეზე გამსვლელი კურსების რაოდენობას. მე-2 სწავლის შედეგისთვის ეს არის 16, ხოლო მე-13 სწავლის შედეგისთვის 17 სასწავლო კურსი. აღნიშნული შესაძლოა მიუთითებდეს როგორც კურიკულუმის რუკის გადახედვაზე, ასევე სწავლის შედეგების ზოგად ხასიათზე ან ერთ სწავლის შედეგში შინაარსობრივად რამდენიმე სწავლის შედეგის არსებობაზე.

როგორც აღვნიშნეთ, სტომატოლოგიის პროგრამის სწავლის შედეგებისთვის შემუშავებულია მათი მიღწევისა და შესრულების სამიზნე ნიშნულები, რაც პროგრამის 14 სწავლის შედეგისთვის მოიცავს შემდეგ 2 სტანდარტულ ჩანაწერს: „სტუდენტების 70% სავარაუდოდ მიიღებს მაქსიმალური ქულის 80%-ს“, „სტუდენტების 70% სავარაუდოდ მიიღებს მაქსიმალური ქულის 70%-ს“. მიგვაჩნია, რომ სამიზნე ნიშნულები ძალიან მაღალია, შესაძლოა იყოს მიუღწევადიც, შესაბამისად საჭიროებენ გადახედვას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით შემუშავებული მექანიზმი და დადგენილი სამიზნე ნიშნულები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და შეფასების მეთოდოლოგია.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით შემუშავებული მექანიზმი და დადგენილი სამიზნე ნიშნულები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☐	☒	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დიპლომირებული სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, გადასინჯვისა და შეწყვეტის პროცედურების შესაბამისად“.

პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული, შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობა არის ადეკვატური. ინგლისურენოვან პროგრამაზე სწავლა ხორციელდება 5 წლის განმავლობაში და მოიცავს 10 სემესტრს.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. კრედიტები დაანგარიშებულია სასწავლო კურსის შინაარსის და დროის გათვალისწინებით.

პროგრამის მოცულობაა 300 ECTS კრედიტი. (1 კრედიტო - 25 საათი, ჯამში 7500 საათი). ერთი აკადემიური სასწავლო წლის განმავლობაში სტუდენტი აგროვებს არაუმეტეს 75 ECTS კრედიტს.

პროგრამის შესახებ ინფორმაცია ღია და გამჭვირვალეა. ინფორმაცია მითითებულია კურსების სილაბუსებში, რომლებიც სტუდენტისთვის სასწავლო კურსის დაწყების პირველივე დღესვეა ხელმისაწვდომი.

სავალდებულო სასწავლო კურსები: ბაზისური საგნები - 74 კრედიტი, კვლევა - 10, ჯანდაცვა - 8, ფუნდამენტური სტომატოლოგია - 16, თერაპიული სტომატოლოგია - 29, ქირურგიული სტომატოლოგია - 25, ორთოპედია - 33, ბავშვთა და მოზარდთა სტომატოლოგია - 24, ორთოდონტია -12, კლინიკური და პროფესიული უნარები - 4, კლინიკური სასწავლო კურსები - 47, არჩევითი საგნები - 12, თავისუფალი კომპონენტი - 2.

პროგრამა ახალია, პროგრამის სწავლების მეთოდების ერთობლიობა უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. აღნიშნული პროგრამის მიზნებისა და სწავლების შედეგების განხორციელება დაგეგმილია სასწავლო კურსებში ერთი მხრივ თეორიული მეცადინეობების - ლექციების, ჯგუფში მუშაობის, პრეზენტაციების დემონსტრირების გზით და მეორე მხრივ, პრაქტიკული მეცადინეობების კურსითა და კომპონენტებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დიპლომირებული სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები;
- საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, გადასინჯვისა და შეწყვეტის პროცედურები https://www.seu.edu.ge/ka/554/; https://www.seu.edu.ge/en/554/
- მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა მეტნაკლებად შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ძირითადი აქცენტი სტუდენტთა თეორიული მომზადებისკენაა მიმართული, რაც რა თქმა უნდა აუცილებელია, ასევე საკმარისად იგეგმება პრაქტიკული უნარ-ჩვევების მანეკენებზე და ფანტომებზე შესწავლა, თუმცა მხოლოდ ფანტომებზე მუშაობა და ექიმების ასისტირება და პაციენტებზე არასტანდარტიზებული მარტივი მანიპულაციების ჩატარება საკმარისი არაა კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის მისაღებად.

სტომატოლოგიის პროგრამა მიმდინარეობს სემესტრულად და გააჩნია თანმიმდევრული სტრუქტურა. თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა განსაზღვრულია კრედიტებით. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განსაზღვრისას გათვალისწინებულია კურსის შინაარსი, კურსით გათვალისწინებული პრაქტიკის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისა და დამოუკიდებლად შესასრულებელი დავალებების მოცულობა და შინაარსი.

თითოეულ სასწავლო კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურადაა შემუშავებული, პროგრამის სტრუქტურა სტუდენტებისთვის ადეკვატური და კარგად აღსაქმელია. სილაბუსები წარმოდგენილია უახლესი ლიტერატურით. ლიტერატურა სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია როგორც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ასევე სტუდენტის ელექტრონულ ბაზაში ელექტრონული ვერსიის სახით. გარდა სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურისა, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სხვადასხვა სამეცნიერო ბაზების ხელმისაწვდომობას სტუდენტებისთვის. ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსებში (მაგ., თერაპიული სტომატოლოგია, ქირურგიული სტომატოლოგია) შეცდომებია გაპარული ლიტერატურული მონაცემების ციტირებისას, არ არის მითითებული ავტორი, წელი, რეკომენდებულია ეს ხარვეზები გასწორდეს.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ უხეში შეცდომები ფიქსირდება საკმაოდ ბევრ სილაბუსში. სამწუხაროდ ეს ეხება თითქმის ყველა სპეციალობის სასწავლო კურსის სილაბუსს.

სილაბუსების ქართული ვერსიები ნათარგმნია ისეთი შეცდომებით და ისეთი რაოდენობითაა, რომ ყველანაირად უკარგავს ამ მნიშვნელოვან დოკუმენტებს იურიდიულ ძალას.

ამონარიდები: „ნაკბენის შეფასება“ - უნდა იყოს თანკბილვის შეფასება, „ყბების შთაბეჭდილებების აღება“ - იგულისხმება ანაბეჭდის აღება, „თავის ჭიქა“ - იგულისხმება ქუდი, „გვირგვინები შუბლის კბილისთვის“, „ფესვის არხის დახშობა“, „მოწინავე კიბო“, „დებს დიაგნოზს“, „ზედა აერო-საჭმლის მომნელებელი ტრაქტი“, „დროებით-ქვედა ყბის სახსარი“, „ბრძანებს გამოკვლევებს“ და მრავალი სხვა.

და ყველაზე თვალშისაცემი: <u>გამოცდის ფორმა OSCE მითითებულია როგორც "ეუთო"!</u>

პროგრამის ხელმძღვანელის პოზიცია და პასუხი სასწავლო კურსების სილაბუსებში არსებულ შეცდომებთან დაკავშირებით იყო, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უზრუნველყო დოკუმენტაციის თარგმანი და ეს მას არ ეხება. საინტერესოა, როგორც პროგრამის ხელმძღვანელს, ევალებოდა თუ არა სულ მცირე, „სპეციალობის" სილაბუსების ან თუნდაც საკუთარი სილაბუსების გადახედვა და შესწორება?

სილაბუსებში ასევე ძალიან ზოგადადაა მოწოდებული ინფორმაცია მიმდინარე, შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულების განაწილებაზე. მაგ., კლინიკური უნარი, რომელიც ფასდება მაქსიმალური 4 ქულით იკითხება შემდეგნაირად: *„სტუდენტი ასრულებს კლინიკური კომპეტენციების ყველა კრიტერიუმს (პროფესიონალიზმი, ჯანმრთელობის შეფასება, ჯანმრთელობის ხელშეწყობა და შენარჩუნება) შესანიშნავ ხარისხზე, საბაზისო და ქცევითი მეცნიერების ცოდნა და პროფესიონალიზმი არის საფუძველი, რომელზედაც კეთდება ჯანსაღი კლინიკური გადაწყვეტილება. პაციენტის მოვლა არის დინამიური და ინტერაქტიური პროცესი, რომელიც იწყება პაციენტის შეფასებით და იწვევს პირის ღრუს ჯანმრთელობის მდგომარეობას"* აი ამ მონაცემებით როგორ უნდა შეფასდეს თუნდაც ყველაზე მარტივი მანიპულაცია - პირის ღრუს პროფესიული ჰიგიენა? ან ანესთეზიის გაკეთება?

სილაბუსებიდან და ინტერვიუს შედეგებიდან ირკვევა, რომ პაციენტის მიღება სტუდენტს შეუძლია მხოლოდ X სემესტრში, თუმცა სილაბუსებში არ ჩანს კონკრეტულად, პრაქტიკულად რას აკეთებს თვითონ სტუდენტი და შესაბამისად სემესტრის განმავლობაში მისი კლინიკური აქტივობა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები როგორ ფასდება. რჩება შთაბეჭდილება, რომ პრაქტიკულ კომპონენტებად ძირითადად სიტუაციური ამოცანების განხილვა, დიაგნოზის დასმა და ექიმის ასისტირება მოისაზრება.

ზოგიერთი პრაქტიკული სასწავლო კურსის სილაბუსებში გამოცდის ფორმად მითითებულია OSCE (ეუთო), თავისი მხოლოდ ზოგადი მონაცემებით, ბევრგან არ არის დაკონკრეტებული რომელი პრაქტიკულად დასწავლილი კომპეტენციების შეფასება იგეგმება. აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო კურსების სილაბუსებით, კალენდარული ცხრილებით, შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის საჭირო შეფასების კრიტერიუმებით, ტიპური ტესტებითა და ღია კითხვებით, საგამოცდო სადგურების გეგმით, იყოს დასრულებული სახით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება;
- სწავლის შედეგების რუქა.

რეკომენდაციები:

- გასწორდეს სილაბუსებში არსებული ტექნიკური და შინაარსობრივი შეცდომები, შესაბამისობაში მოვიდეს ინგლისურ და ქართულ ენებზე შედგენილი სილაბუსები, რადგან ორივე ვარიანტს თანაბარი იურიდიული ძალა გააჩნია.

- გაიზარდოს სტუდენტთა კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან მათი უშუალო კონტაქტით, მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ და პაციენტების მიღება გახდეს სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი, როგორც მიღებულია მსოფლიოს ძალიან ბევრ უმაღლეს სასწავლებელში.
- სილაბუსებში დაკონკრეტდეს მიმდინარე, შუალედური და დასკვნითი შეფასებების კრიტერიუმები, OSCE-ის საგამოცდო სადგურების გეგმა, დაკონკრეტდეს ჩასატარებელი მანიპულაციების ჩამონათვალი პაციენტებზე და ფანტომებზე და ჩატარებული მანიპულაციების შეფასება გაიწეროს უფრო დეტალურად. გასწორდეს ბიბლიოგრაფია.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☐	☐	☒	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დიპლომირებული სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, გაწერილია პროგრამაში, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი პროგრამის დაშვების წინაპირობები შეესაბამება კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს: საქართველოს/უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომელთაც გააჩნიათ საქართველოს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ერთიანი ეროვნული გამოცდებით, ინგლისური ენის შესაბამისი დონით; ასევე, პროგრამის დაშვების წინაპირობაა:

- უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. - უნივერსიტეტი ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მოპოვების მსურველი პირების პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით ატარებს გასაუბრებას და უზრუნველყოფს აღნიშნული გასაუბრების ვიდეოჩანაწერის განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროსათვის ხელმისაწვდომობა. - დიპლომირებული სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან/პროგრამიდან მობილობის წესით გადმოსულ სტუდენტთა მიღება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და პროცედურების შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია.

ქართველ და უცხოელ აბიტურიენტებს უნივერსიტეტი სთავაზობს სხვადასხვა საინფორმაციო სერვისებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- https://www.seu.edu.ge/ka/554/; https://www.seu.edu.ge/en/554/
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დიპლომირებული სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა მეტ-ნაკლებად უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას.

უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის ფარგლებში, იგეგმება საუნივერსიტეტო საფანტომო და კლინიკური სიმულაციის ბაზის (სტუდენტებისთვის განკუთვნილი) აღჭურვა, შესაბამისი სასწავლო პროგრამის ფარგლებში, რაც თავისთავად სწავლების მეთოდების ეფექტურობის მაჩვენებლის ზრდას განსაზღვრავს. მისასალმებელია სტუდენტთა ინტეგრირება აღნიშნულ კლინიკურ სივრცეში.

პროგრამის სტუდენტებს პრაქტიკული უნარების (მაგალითად, პაციენტის კონსულტირება, პირველადი დახმარება, სხვადასხვა პროცედურის ჩატარება) განვითარების საშუალება ექნებათ უნივერსიტეტის სტომატოლოგიური სიმულაციის ლაბორატორიასა და სტომატოლოგიურ კლინიკებში. პრაქტიკის ორგანიზება იგეგმება კვალიფიციური პირის ზედამხედველობით.

უნივერსიტეტს ხელშეკრულებები, მემორანდუმები აქვს გაფორმებული სხვადასხვა სტომატოლოგიურ კლინიკებთან, სადაც საექიმო საქმიანობას ეწევიან პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი. დოკუმენტებში გაწერილია უნივერსიტეტის და კლინიკების ვალდებულებები, სტუდენტების რაოდენობა, რაც ამ ეტაპზე მისაღები სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით, საკმარისია.

თუმცა, ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ პრაქტიკული კომპონენტი მოიცავს ძირითადად საფანტომო კურსებს არსებულ საუნივერსიტეტო ბაზაზე, ხოლო კლინიკური როტაციის პირობებში - სტუდენტების ასისტირების შესაძლებლობებს, პაციენტებზე მარტივი სტომატოლოგიური მანიპულაციების ჩატარებას, რომელიც X სემესტრის სპეციალიზაციის ზოგიერთ სილაბუსში ჩამონათვალის სახით არსებობს, მაგრამ არ არის სტანდარტიზებული და შესაბამისად არ ატარებს სავალდებულო ხასიათს, რადგან ამ ჩამონათვალში ჭარბობს იგივე ქულის შესაბამისად პაციენტების კონსულტირება, დიაგნოსტიკა, დიაგნოზის დასმა, მკურნალობის გეგმის შედგენა და სხვა. შესაბამისად პრაქტიკული უნარების განვითარება ხდება ნაწილობრივ, ძირითადად ფანტომებსა და სიმულატორებზე მუშაობით, ექიმის ყურების და ასისტირების გზით და მცირე დოზით უშუალოდ პაციენტებში, პროფესორ მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ.

სწავლების პროცესების ორგანიზება მიზნად უნდა ისახავდეს ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომელიც უზრუნველყოფს დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნის შეძენას, ასევე გარკვეული კომპეტენციის და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას. სამომავლო რეკომენდაციაც შეეხება სტუდენტთა პრაქტიკული უნარის განვითარებას, მათ ჩართულობას პრაქტიკული საქმიანობაში, კერძოდ, პაციენტებთან

ინდივიდუალურ და დამოუკიდებლად მუშაობას, რათქმაუნდა პროფესორის ზედამხედველობის ქვეშ.

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია სასწავლო კურსები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტის სამეცნიერო-კვლევითი, კრიტიკული აზროვნების, ანალიზის, სინთეზის და სხვა უნარების განვითარებას. სტუდენტებს საშუალება აქვთ მიიღონ ბაზისური ცოდნა კვლევის ტიპებისა და მეთოდოლოგიის შესახებ, გაეცნონ როგორც ბეჭდურ, ასევე ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებს.

სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, მონაწილეობა მიიღონ როგორც უნივერსიტეტის, ასევე სხვა უნივერსიტეტებისა და ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებში.

პრაქტიკული უნარების შეძენა-განვითარებას ხელს უწყობს პროგრამის ფარგლებში კლინიკური სასწავლო კურსების არსებობა, რომლებიც კლინიკებში ხორციელდება.

სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, ისარგებლონ უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული სასწავლო ლაბორატორიებით, სიმულაციური ცენტრითა და საფანტომო კლასით და ამ სივრცეებში მუშაობისას განივითარონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები. როგორც ვიზიტის დროს აღინიშნა, უნივერსიტეტის მიერ პერიოდულად გამოიცემა სამეცნიერო ჟურნალი, სადაც ხვდება კონფერენციაზე წარდგენილ საუკეთესო მოხსენებებზე დაყრდნობით შემუშავებული სტატიები.

პროგრამა ახალია და შესაბამისად ჯერ გაცვლით პროექტებში სტუდენტები მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ. ამ ეტაპზე იგეგმება მედიცინის პროგრამიდან ორი სტუდენტის სტაჟირება ესპანეთში. ასევე მედიცინის სტუდენტები ჩართულები იყვნენ სხვადასხვა პროექტებში ჩართული. სასურველია მსგავსი ღონისძიებები გატარდეს სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტებთანაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დიპლომირებული სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ხელშეკრულებები/მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან;
- სტუდენტური კონფერენციები და პროექტები https://www.seu.edu.ge/ka/833/; https://www.seu.edu.ge/en/833/
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია გაიზარდოს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარება, ჩართულობა პრაქტიკულ საქმიანობაში, კერძოდ, პაციენტებთან ინდივიდუალური და დამოუკიდებლად მუშაობა, მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია გაძლიერდეს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავება კონკრეტულად სტომატოლოგიის პროგრამასთან მიმართებაში, გაიზარდოს სტუდენთა ჩართულობა საერთაშორისო კონფერენციებში, საერთაშორისო გაცვლით პროექტებში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☐	☒	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დიპლომირებული სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში გაწერილია სწავლება-სწავლების მეთოდები, რომლებიც შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარს, ხოლო სწავლა-სწავლების მეთოდები სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე მეტნაკლებად ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას.

სასწავლო კურსებში გამოიყენება ისეთი სწავლება-სწავლის მეთოდები, როგორიცაა: ინტერაქტიული ლექციები, სემინარები, პრაქტიკული მეცადინეობები, დისკუსია-დებატები, როლური თამაშები, პრეზენტაციები. სწავლების ამგვარი მეთოდებისა და მათი კომპონენტების გამოყენება უზრუნველყოფს სტუდენტთა ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის შესაძლებლობების, აზროვნების და ანალიზის უნარის განვითარებას.

საგანმანათლებლო პროგრამა ინგლისურენოვანია, რაც თავისთავად გულისხმობს საერთაშორისო სტუდენტების ჩართვასაც, შესაბამისად გათვალისწინებული იქნება მომავალი სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებებიც, მათი რელიგიური და კულტურული თავისებურებები და სხვა.

სტუდენტებს აქვთ საშუალება იმუშაონ სიმულაციურ ლაბორატორიებში, გამოიყენონ სიმულატორები, მანეკენები, ანატომიური ნიმუშები, მიკროსკოპები, მიკროსკოპული პრეპარატები, აუდიო-ვიდეო ტექნიკა და სხვა რესურსები. სტომატოლოგიური საგნების სწავლება მოიცავს თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების ურთიერთდაკავშირებულ ციკლებს, დარგობრივი კლინიკური პროცედურებისათვის აუცილებელი პრაქტიკულ/მანუალური უნარ-ჩვევების სწავლება ხორციელდება სტანდარტიზებული პაციენტის, სიმულატორის და მულაჟების საშუალებით, სტომატოლოგიურ სიმულაციურ/კლინიკურ გარემოში მუშაობით, ასევე როლურ თამაშებში მონაწილეობით და სხვა.

დამამთავრებელ კურსზე სტომატოლოგიის კლინიკურ კურსების ფარგლებში პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისება ხდება ექიმების ასისტირებით და ყურებით, პაციენტებზე მარტივი მანიპულაციების ჩატარებით, რაც ერთის მხრივ უზრუნველყოფს სტუდენტის ინტეგრირებას

კლინიკურ სივრცეში, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. პაციენტებთან მეტი დოზით დამოუკიდებელი მუშაობა, კონსულტაციები, ანამნეზის შეკრება, დიაგნოზის დასმა, პრაქტიკული უნარების განვითარება (მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ) აუცილებელია ამ სპეციალობის პროგრამის სტუდენტებისთვის და დასახული სწავლის შედეგების მისაღწევად. შესაბამისად, ჩვენი რეკომენდაციაა, გაიზარდოს სწავლება-სწავლის მეთოდებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი - სტუდენტთა კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან მათი უშუალო კონტაქტით, მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ და პაციენტთან მუშაობა იყოს სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი

პროგრამის ხელმძღვანელმა კითხვაზე, თუ რამდენად სავალდებულო იქნება სტუდენტებისთვის პაციენტის მიღება, აღნიშნა, რომ პროგრამისთვის ამ ეტაპზე უფრო მნიშვნელოვანია სტუდენტების კლინიკებში განაწილება და უკვე ადგილზე როგორ მოხდება მათ მიერ პაციენტების მიღება, მომავლის საქმეა. ამ ეტაპზე არც სილაბუსებშია დაკონკრეტებული პაციენტებზე განსახორციელებელი მანიპულაციების სტანდარტიზებული შეფასება. ჩამონათვალი საკმაოდ ბევრია, შეფასება კი ეხება ნებისმიერ 5 აქტივობას.

პროგრამა ახალია, სასწავლო პროცესი კლინიკურ გარემოში ჯერ არ ხორციელდება, შესაბამისად წინასწარ არც ისაა ცნობილი, თუ რა შეღავათებით ისარგებლებენ პაციენტები სტუდენტთან მკურნალობის შემთხვევაში, ყოველ შემთხვევაში ინტერვიუს დროს ამ კითხვაზე არც პროგრამის ხელმძღვანელებს და არც კლინიკების წარმომადგენლებს პასუხი არ ჰქონდათ. სასურველია უნივერსიტეტის სტომატოლოგიურ ბაზებზე პაციენტებისთვის სტუდენტებთან მკურნალობა იყოს შეძლებისდაგვარად იაფი და შეღავათიანი.

წინასწარ არ არის ცნობილი თუ რამდენი სტომატოლოგიური დანადგარი იქნება გამოყოფილი კონკრეტულად სტუდენტისთვის. ინტერვიუს დროს კლინიკის ხელმძღვანელებმა დაგვიდასტურეს, რომ სტომატოლოგიურ მასალებს სტუდენტებისთვის უნივერსიტეტი შეიძენს, თუმცა რაოდენობა, ჩამონათვალი ამ ეტაპზე დაზუსტებული არ არის. უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების დროს, სტომატოლოგიური სიმულაციური ცენტრი ჯერ დასრულებული არ იყო, ოთახი იყო გარემონტებული, მიყვანილი კომუნიკაციებით, თუმცა დანადგარების და ავეჯის გარეშე. ინტერვიუს დროს დაგვიდასტურეს, რომ ინვენტარი წესით მაისის ბოლოს იქნება საქართველოში და მაშინვე მოხდება მისი მონტაჟი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.

რეკომენდაციები:

- გაიზარდოს სწავლება-სწავლის მეთოდებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი - სტუდენტთა კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან მათი უშუალო კონტაქტით, მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ და პაციენტთან მუშაობა იყოს სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია უნივერსიტეტის სტომატოლოგიურ ბაზებზე პაციენტებისთვის სტუდენტებთან მკურნალობა იყოს შეძლებისდაგვარად იაფი და შეღავათიანი.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	☐	☒	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამაში მოცემულია სტუდენტის შეფასების ის ფორმები და მეთოდები, რომლებიც სწავლის მეთოდებთან ერთად მეტნაკლებად ითვალისწინებს კურსის სწავლის შედეგებზე გასვლას, თითოეულ დისციპლინაში მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

თითოეული სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება შედგება შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამისაგან. სწავლის შედეგის შეფასების სისტემა მოიცავს სხვადასხვა კომპონენტს (ზეპირი/წერითი გამოცდები, პრაქტიკული სამუშაო, გამოკითხვა), გამოიყენება შეფასების ისეთი მეთოდები, როგორიცაა: MCQ და ღია ტესტები, რეფერატი, პრეზენტაცია, ჯგუფური სამუშაო, OSCE, კლინიკური შემთხვევის განხილვა და სხვა.

უნივერსიტეტში დანერგილია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა emis.seu.edu.ge რომელიც განკუთვნილია სტუდენტთა ყოველკვირეული შეფასებისთვის; ლექტორის მიერ სასწავლო პროცესის წარმართვის მონიტორინგისთვის; სტუდენტთა შეფასების გამჭვირვალობის უზრუნველყოფისთვის; შეფასების კრიტერიუმები აღწერილია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსებში და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია.

უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება, საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში.

სემესტრის ბოლოს ხდება მიღებული შეფასების შედეგების ანალიზი, სტუდენტთა გამოკითხვა, მიღებული მონაცემები სასწავლო პროგრამის გაუმჯობესებისთვის გამოყენება.

სასწავლო კურსის სილაბუსებში პრაქტიკული უნარების შეფასება საფანტომო და კლინიკურ კლასებში მოისაზრება, მინიჭებული აქვს ქულა. კარგად არ ჩანს რა მანიპულაციები ფასდება

პაციენტზე. აუცილებელია შეფასდეს ჩატარებული უნარები და მოხდეს ამ უნარების სტანდარტიზება და აღრიცხვა. აუცილებლად უნდა მიეთითოს კონკრეტული ქულა რა აქტივობის მიღწევის შემდეგ მიიღება. იგივე ეხება OSCE-ის გამოცდების შეფასებისას. ყველა სასწავლო კურსში, სადაც გამოცდის ეს ფორმა გამოიყენება, მითითებულია მხოლოდ ქულა (14-16) და 7-8 სადგური, თითოეული 2 ქულა. შეფასების კრიტერიუმებიც არის ძალიან ზოგადი და ყველა სადგურისთვის ერთნაირი, ინტერვიუს დროს ნათელი გახდა, რომ შეფასების ფურცლები ყველა სასწავლო კურსისთვის ჯერ მზად არაა, ზოგიერთმა განმახორციელმა პერსონალმა ისიც კი არ იცოდა, რომ გამოცდის ფორმა იქნება OSCE. აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო კურსების სილაბუსებით, კალენდარული ცხრილებით, შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის საჭირო შეფასების კრიტერიუმებით, ტიპური ტესტებითა და ღია კითხვებით, საგამოცდო სადგურების გეგმით იყოს დასრულებული სახით.

სპეციალიზაციის სასწავლო კურსებზე, სადაც ისწავლება პრაქტიკული უნარები, დასკვნით გამოცდებზე ეს უნარები არ ფასდება (თერაპიული სტომატოლოგია 2, ორთოპედიული სტომატოლოგია 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, ქირურგიული სტომატოლოგია 2, 4, 5, 6, ბავშვთა თერაპიული სტომატოლოგია). სასურველია დასკვნით გამოცდაზე დაემატოს შეფასების ეს მეთოდიც.

ცალკე უნდა აღინიშნოს შუალედური და დასკვნითი გამოცდების გამსვლელი ქულების მაჩვენებელი. სილაბუსებიდან და ინტერვიუს შედეგებიდან ირკვევა, რომ ეს მაჩვენებელი 30%-ის ტოლია. შუალედური ქულა იქნება დადებითი, თუ სტუდენტი მიიღებს 60-დან 18 ქულას, ხოლო დასკვნით გამოცდაზე 40-იდან 12 ქულას! ეს მაჩვენებელი ძალიან დაბალია. გამოდის, რომ სტუდენტმა სასწავლო კურსის დასკვნით გამოცდაზე კურსის ნახევარიც კი არ იცის და საგანი ჩაბარებული აქვს. ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ მედიცინის პროგრამაზე ეს მაჩვენებელი 50%-ის ტოლია (რაც ასევე დაბალია), სასწავლო კურსის განმახორციელებელმა პერსონალმა არ იცოდა ქულების შემცირების მიზეზი, პროგრამის ხელმძღვანელმა კი ამ კითხვაზე გვიპასუხა, რომ რადგან პროგრამა ახალია, ამ ეტაპზე მიზანშეწონილად ჩათვალეს ეს ცვლილება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსის სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა.

რეკომენდაციები:

- სტომატოლოგიური მიმართულების სასწავლო კურსებში, სადაც კლინიკური და პრაქტიკული უნარ-ჩვევები შეისწავლება, აუცილებელია პრაქტიკული უნარების შეფასების კომპონენტის დამატება/დაკონკრეტება. სილაბუსებში დეტალურად უნდა იყოს ჩაშლილი სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის შეფასება პრაქტიკულ ნაწილში, მითითებული უნდა იყოს კონკრეტული ქულა რა აქტივობის მიღწევის შემდეგ მიიღება.

- აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო კურსების სილაბუსებით, კალენდარული ცხრილებით, შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის საჭირო შეფასების კრიტერიუმებით, ტიპური ტესტებითა და ღია კითხვებით, OSCE-ს საგამოცდო სადგურების გეგმით, იყოს დასრულებული სახით

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, თუ დასკვნითი გამოცდის გამსვლელი ქულა გაიზრდება და იქნება 50%+1-ზე მაღალი, 60% მაინც.
- სპეციალიზაციის გარკვეულ სასწავლო კურსებზე, სადაც ისწავლება პრაქტიკული უნარები, სასურველია დასკვნით გამოცდაზე გარდა თეორიული ცოდნისა შეფასდეს ასევე პრაქტიკული უნარებიც.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.4 სტუდენტების შეფასება	☐	☒	☐	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის „დიპლომირებული სტომატოლოგის“ პროგრამის აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე, სხვა დოკუმენტაციასა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე

დაყრდნობით დასტურდება, რომ სეუ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას. უსდ–ში ადმინისტრაციაში დასაქმებული პერსონალი კვალიფიციური და მოტივირებულია. მზად არიან შეუფერხებლად ითანამშრომლონ სტუდენტებთან. რადგანაც „დიპლომირებული სტომატოლოგის“ პროგრამას ამჟამად არ ჰყავს სტუდენტი, ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა ამავე უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ პროგრამის სტუდენტებთან და უნივერსიტეტის სხვა პროგრამების კურსდამთავრებულებთან გასაუბრება.

ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სტუდენტები სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის emis.seu.edu.ge მეშვეობით იღებენ ყველა იმ საჭირო დახმარებასა და კონსულტაციას, რომელიც აუცილებელია: სასწავლო პროცესის დასაგეგმად, აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, დასაქმებაზე კონსულტაციასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებულ მხარდაჭერას. მაგალითად, ინფორმაციას ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, კულტურული და შემეცნებითი ღონისძიებების, გაცვლითი პროგრამების და სხვ. შესახებ სტუდენტები იღებენ უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან, ელ. ფოსტებიდან და ადმინისტრაციისგან. ამასთან, სასურველია, გაუმჯობესდეს მხარდამჭერი ღონისძიებები სტუდენტების საერთაშორისო ღონისძიებებში ჩართვის მიზნით.

ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში ფიქსირდება ლექტორის საკონტაქტო ინფორმაცია ელექტრონული ფოსტის მისამართის სახით და ასევე, აღნიშნულია ყოველკვირეული განრიგის მიხედვით კონსულტაციების შესაძლებლობა, თუმცა, არ არის მითითებული ზუსტი კონსულტაციის საათები. საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში, სასურველია დაზუსტდეს საკონსულტაციო საათები, რათა უკეთ იქნეს უზრუნველყოფილი პროგრამაში ჩართული პირების მიერ სათანადო ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის უსდ-ში არსებული კონსულტაციების შესახებ.
ინტერვიუს შედეგების საფუძველზე დასტურდება, რომ უნივერსიტეტში აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით ტარდება სტუდენტების გამოკითხვა, რომელიც ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, გაუმჯობესდეს საუნივერსიტეტო მხარდაჭერის მექანიზმები სტუდენტების საერთაშორისო ღონისძიებებში ჩართვის გაუმჯობესებასთან მიმართებით.
- სასურველია პროგრამის სილაბუსებში ზუსტად იყოს გაწერილი საკონსულტაციო საათები, რათა უკეთ იქნეს უზრუნველყოფილი პროგრამაში ჩართული პირების მიერ სათანადო ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის უსდ-ში არსებული კონსულტაციების შესახებ.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	☒	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

რეკომენდაციები:

- *წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები*

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- *არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის*

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☐	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი „დიპლომირებული სტომატოლოგის“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სულ 73 პერსონალი, მათგან 30 არის აკადემიური პერსონალი (14 პროფესორი, 6 ასოცირებული პროფესორი, 10 ასისტენტ პროფესორი) და 43 მოწვეული პერსონალი. აკადემიური/მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობიდან დარგობრივი (სტომატოლოგიის) განათლების მქონე, კონკურსის წესით არჩეულია: 2 პროფესორი, 2 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტ პროფესორი. ამ ეტაპზე აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია პროგრამაზე დაგეგმილი მისაღები სტუდენტების (21 სტუდენტი) რაოდენობასთან, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის აზრით სტუდენტთა ზრდასთან ერთად სასურველია გაიზარდოს სტომატოლოგიის მიმართულებით აკადემიური პერსონალი პროგრამის მდგრადი განვითარებისთვის.

პერსონალის კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამის დარგში დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხით, პროფესიული გამოცდილებით, პუბლიკაციებით, აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

პროგრამას ჰყავს 1 ხელმძღვანელი და 1 თანახელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელს და თანახელმძღვანელს გააჩნიათ დოქტორის აკადემიური ხარისხი, პროგრამის შემუშავებისათვის

აუცილებელი ცოდნა, კომპეტენცია და გამოცდილება და უშუალოდ არიან ჩართული პროგრამის განხორციელებაში, რაც დადასტურდა უნივერსიტეტში ვიზიტისას, ადმინისტრაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინტერვიუების დროს.

სეუ-ში ფუნქციონირებს პერსონალის მართვის სამსახური, რომლის ძირითადი ამოცანაა უზრუნველყოს უნივერსიტეტი საკმარისი რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე პერსონალით, ხელი შეუწყოს მათ მართვას და განვითარებას.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა უსდ მიერ წარმოდგენილი პერსონალის CV-ები, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციები, ასევე უნივერსიტეტისგან გამოთხოვილ იქნა ხელმოწერილი რამოდენიმე ხელშეკრულება, როგორც აკადემიურ, ისე მოწვეულ პერსონალთან, ანონიმურობის სრული დაცვით, ასევე ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, თუმცა, აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ ლექტორებთან განხორციელებული ინტერვიუების პროცესში გაირკვა, რომ მათი ნაწილი ვერ ფლობს ინგლისურ ენას, ზოგიერთმა მათგანმა უარი განაცხადა ინგლისურ ენაზე ინტერვიუს წარმართვაზე. შესაბამისად, რეკომენდებულია, უსდ-მ შეიმუშაოს ახალი მექანიზმები პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციის გადასამოწმებლად და დასადასტურებლად.

გარდა ზემოთქმულისა, პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის ნაწილს არ ჰქონდა სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის შესახებ, ასევე კარგად არ იცნობდნენ შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებს, სასწავლო და საგამოცდო პროცესს, აუცილებელია ამ ხარვეზის გამოსწორება.

სეუ–ს აკადემიური და მოწვეული პერსონალი სასწავლო პროცესის გარდა, ჩართულია სტუდენტების კონსულტირების და სხვა საუნივერსიტეტო ღონისძიებებში.

პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია და კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**30**	**5**		
- პროფესორი	14	2	2	4
- ასოცირებული პროფესორი	6	2	2	2
- ასისტენტ-პროფესორი	10	1	1	
- ასისტენტი				

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

მოწვეული პერსონალი	43	22	3	_
სამეცნიერო პერსონალი				_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- განმახორციელებელი პერსონალის მონაცემები - CV;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უსდ-მ შეიმუშაოს ახალი მექანიზმები პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციის გადასამოწმებლად და დასადასტურებლად.
- რეკომენდებულია, პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი მეტად იყოს ინფორმირებული პროგრამის შესახებ, იცნობდნენ შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებს, სასწავლო და საგამოცდო პროცესს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ამ ეტაპზე აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია პროგრამაზე დაგეგმილი მისაღები სტუდენტების (21 სტუდენტი) რაოდენობასთან, თუმცა სტუდენტთა ზრდასთან ერთად სასურველია გაიზარდოს სტომატოლოგიის მიმართულებით აკადემიური პერსონალი პროგრამის მდგრადი განვითარებისთვის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.1 ადამიანური რესურსი	☐	☒	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომების ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			

- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			_
სამეცნიერო პერსონალი			_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	☐	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასების სისტემა, რომელიც უკვე მიმდინარე პროგრამებზე გამოიყენება და რომლის იმპლემენტაციასაც აპირებს ინგლისურენოვანი სტომატოლოგიის პროგრამის აკრედიტირების შემდეგ. შეფასების სისტემა უნივერსიტეტის ვებ-გვერდზეა განთავსებული და ხელმისაწვდომი. შეფასების სისტემა აფილირებულ, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს განსხვავებულად აფასებს, რაც აკადემიური პერსონალის განსხვავებულ პასუხისმგებლობების სფეროს მოიცავს (აკადემიური საქმიანობა, კვლევითი საქმიანობა, ორგანიზაციის განვითარებაში შეტანილი წვლილი, საზოგადოებრივი საქმიანობა და ა.შ). თითოეული სფეროს შეფასებას თავისი ინდიკატორი გააჩნია.

პერსონალის შეფასება სემესტრულია და როგორც თვითშეფასების ანგარიშშია მითითებული, შესაძლებელია აკადემიური პერსონალის წახალისების სხვადასხვა გზა იყოს გამოყენებული.

პერსონალური განვითარების გეგმა, რომელიც უსდ მიერ აღნიშნულია თვითშეფასების ანგარიშში და საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს, არ ხორციელდება ან ხორციელდება არა ყველასთვის, რადგან გასაუბრების დროს, ამის შესახებ აკადემიური პერსონალის ნაწილს ინფორმაცია არ ჰქონდა, სასურველია ამ ხარვეზის გამოსწორება.

ხარისხის განვითარების სამსახური ყოველსემესტრულად ატარებს სტუდენტთა გამოკითხვას მისი აკადემიური პერსონალით კმაყოფილების შესახებ. ასევე პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად გეგმავს ლექცია/სემინარებზე დასწრების წარმოებას. რაც საბოლოოდ მიღებული გადაწყვეტილების ელექტრონული მართვის სისტემის საშუალებით გაზიარებით მოხდება.

2020-2021 წელს უსდ ჩატარებული აქვს არაერთი აქტივობა აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით სხვადასხვა საკითხებზე (აკრედიტაცია/ავტორიზაციის სტანდარტები, სწავლება-სწავლის მეთოდები, შეფასების სიტემები და ა.შ).

უსგ მოქმედებს შიდა საგრანტო სისტემა სამეცნიერო კვლევითი აქტივობის წახალისებისათვის. ამავე აქტივობას ემსახურება სამეცნიერო რეფერირებადი კონფერენცია, რომლის მასალებიც ჟურნალ „SEU & Science" ქვეყნდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სეუ თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
- დანართი N10 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარება
- „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების წესები (აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის) https://www.seu.edu.ge/ka/554/
- სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი მექანიზმები https://www.seu.edu.ge/ka/547/
- სამეცნიერო კვლევითი აქტივობის ანგარიში (თანდართული დოკუმენტაცია)

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- პერსონალური განვითარების გეგმა, რომელიც უსდ მიერ აღნიშნულია თვითშეფასების ანგარიშში და საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს, არ ხორციელდება ან ხორციელდება არა ყველასთვის, სასურველია ამ ხარვეზის გამოსწორება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	☒	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ მატერიალურ-ტექნიკური რესურსი დიპლომირებული სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად შეესაბამება მოთხოვნებს და აკმაყოფილებს სტუდენტთა პროგნოზული კონტინგენტის რაოდენობას. უსდ გააჩნია სტომატოლოგიის სიმულაციური ცენტრი, რომელიც დასრულების პროცესშია და შესყიდვის შესახებ დოკუმენტებით საჭირო ინვენტარის შეძენა დასტურდება. სასწავლო აუდიტორიები, საბიბლიოთეკო რესურსი: ელექტრონული და საერთაშორისო ბაზები, საგამოცდო ცენტრი, სტუდენტთა ჯგუფური მუშაობისათვის გამოყოფილი სივრცეები, სასწავლო ლაბორატორიები, რომელიც მოიცავს სასწავლო კომპონენტებით გათვალსწინებულ მანეკენებს და სიმულატორებს, შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ინტერვიუს შედეგად გაირკვა და მონახულების დროს ვნახეთ ერთ-ერთი კლინიკური ბაზა, სადაც განხორციელდება კლინიკური კომპონენტი, რაც ხელშეკრულებითაა დადასტურებული. იგეგმება უნივერსიტეტის საკუთარი სტომატოლოგიური კლინიკის მშენებლობა. როგორც სტომატოლოგიის, ასევე მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული ყველა სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში ბეჭდური და ელექტრონული სახით, რაზეც სტუდენტს აქვს წვდომა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
- ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის და წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ა(ა)იპ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან გაფორმებული ხელშეკრულება.
- ინფრასტრუქტურის დათვალიერების შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის ბიუჯეტი, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით და ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით შეიქმნება სტუდენტების სწავლების საფასურის გადახდით. მოწოდებულ დოკუმენტაციაში საწყის ეტაპზე ინვესტიციის რაოდენობა პროგრამის განხორციელებისათვის საკმარისი იქნება.

ვიდრე პროგრამა არ არის აქტიური, ბიუჯეტში გაწერილი თანხების, შემოსავლის მოლოდინების პროგნოზი და ასევე უსდ მიერ წარმოდგენილი გეგმების შესრულების შესაბამისობის გათვლა რთულია, თუმცა პირველადი ინვესტიცია და სწავლის ღირებულებიდან მიღებულ სავარაუდო შემოსავალი, ერთად, პროგრამის განხორციელებისთვის საკმარისია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- დანართი N9 - დიპლომირებული სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სეუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის, განვითარებისა და მონიტორინგის პროცესებს ხელმძღვანელობს ხარისხის განვითარების დეპარტამენტი, რომლიც საკუთარ საქმიანობას წარმართავს ბოლონიის პროცესის ფარგლებში შემუშავებული დოკუმენტების, ევროპული უმაღლესი განათლების სივრცეში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების, სახელმძღვანელო პრინციპებისა და უმაღლესი განათლების სფეროში არსებული საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების საფუძველზე.

ხარისხის განვითარების დეპარტამენტი ოპერირებს ცენტრალურ დონეზე, თუმცაღა დებულების ფარგლებში ითავსებს და უზრუნველყოფს ფაკულტეტზე შესაბამისი პროცესების მართვასა და ზედამხედველობას. მისი მიზანია უნივერსიტეტში სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხისა და ადამიანური და მატერიალური რესურსების სისტემატური შეფასება, ხარისხის მონიტორინგის სისტემის ხელმძღვანელობა, უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისა და დამხმარე სერვისების გაუმჯობესებისთვის განმავითარებელი რჩევებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

გარდა სამსახურის დებულებით გათვალისწინებული შინაარსისა, უნივერსიტეტში პროგრამის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნები, ამოცანები, პროცედურები, ეტაპები და ჩართული მხარეების ვალდებულებები, გაწერილია დოკუმენტებში „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ხარისხის გაუმჯობესებისა და განვითარების პოლიტიკა“, „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს პოლიტიკა ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი შედეგების გავრცელების შესახებ“ და „საგანმანათლებლო პროგამების სწავლის შედეგების ფორმირებისა და შეფასების მეთოდოლოგია“. ზემოაღნიშნული დოკუმენტების თანახმად, უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება PDCA ციკლის პრინციპებს და მოაზრეებს დაინტერესებული მხარეების ჩართულობით პროცესების დაგეგმვას, განხორციელებას, შემოწმებასა და რეაგირებას.

საგანმანათლებლო პროგრამების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტში დანერგილია ანგარიშვალდებულებითი სისტემა, რაც მოიაზრებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის, გარე აქტორების ჩართულობას. ამავე მიზნით შემუშავებულია: 1. პროგრამის, სილაბუსისა და უნივერსიტეტის თვითშეფასების ფორმები შევსების ინსტრუქციით; 2. პერსონალის (აკადემიური/მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე) საქმიანობის შეფასების სისტემა; 3. სტუდენტების აკადემიური

მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი და დანერგილია მონიტორინგის შედეგების გამოყენება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად; 4. შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმები (აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალის, სტუდენტების კურსდამთავრებულების და დამსაქმებელთა ჩართულობით), 5. ჩართულ და დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის ფორმები, 6. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების (მათ შორის, ე.წ. რუკები) და სხვ.

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და ინტერვიუების შედეგების გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართული იყო პროგრამის შემუშავების პროცესში. აკადემიური და მოწვეული პერსონალის თქმით, მათი ჩართულობა ძირითადად მათთვის განკუთვნილი სასწავლო კურსების შემუშავებით შემოიფარგლა, რაც განსაკუთრებით ახალი პროგრამის შემუშავების პროცესში არ არის საკმარისი. მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროგრამა, მისი მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო გეგმა თუ სასწავლო კურსები შემუშავდეს პროგრამის განმახორციელებელი და ადმინისტრაციული პერსონალის აქტიური თანამშრომლობისა და ჩართულობის საფუძველზე. რაც შეეხება პროგრამების ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, ასევე, სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამისთვის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავების პროცესს, აღნიშნულში მონაწილეობა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს არ მიუღიათ. პროგრამის ხელმძღვანელები იცნობენ დაწესებულებაში არსებულ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, თუმცაღა აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინფორმირების დონე ძალიან დაბალია. ეს შესაძლებელია გამოწვეული იყოს იმ გარემოებით, რომ პროგრამა ახალია, თუმცაღა მიგვაჩნია, რომ პერსონალს, რომლებსაც არ აქვთ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის გამოცდილება, დეტალურად უნდა ეცნობოთ ყველა ის პირობა თუ ვალდებულება, რომელთა გაზიარებაც მოუწევთ პროგრამის განხორციელების პროცესში. რეკომენდებულია, პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურად იყოს ჩართული პროგრამის შემუშავების, ასევე მისი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განსაზღვრის პროცესში.

აღსანიშნავია, რომ სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების, შესაბამისი რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების შეგროვებისა და გაანალიზების პროცესში აქტიურად იყო ჩართული უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და პროგრამის ხელმძღვანელები. ერთობლივი თანამშრომლობის საფუძველზე შემუშავებულია შესაბამისი თვითშეფასების ანგარიში, რომელიც ითვალისწინებს კონკრეტული ფორმის მიხედვით განსაზღვრული ინფორმაციის წარმოდგენას.

თუმცაღა, აქვე ხაზგასასმელია, რომ თვითშეფასების დანართ დოკუმენტებში, კერძოდ კი საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსების ქართულენოვან თარგმანში ფიქსირდება თვალშისაცემი, უხეში თარგმანის შეცდომები, რაც უარყოფით გავლენას ახდენს აკრედიტაციის პროცესის ჯეროვნად წარმართვაზე და გარკვეულწილად აფერხებს მას. სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს დოკუმენტების შინაარსობრივი თუ ტექნიკური გამართულობა და ამ მიზნით, შესაბამისი სამიზნე პირების სამუშაო პროცესში აქტიური ჩართულობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსის სილაბუსები;

- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ხარისხის გაუმჯობესებისა და განვითარების პოლიტიკა;
- სეუ-ს პოლიტიკა ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი შედეგების გავრცელების შესახებ;
- საგანმანათლებლო პროგამების სწავლის შედეგების ფორმირებისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურად იყოს ჩართული პროგრამის შემუშავების, ასევე მისი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განსაზღვრის პროცესში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს დოკუმენტების შინაარსობრივი თუ ტექნიკური გამართულობა და ამ მიზნით, შესაბამისი სამიზნე პირების სამუშაო პროცესში აქტიური ჩართულობა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	☐	☒	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დიპლომირებული სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამის გარე ხარისხის შეფასების მიზნით საწყის ეტაპზე გამოყენებულია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული აკრედიტაციის სტანდარტები, რომლებთან შესაბამისობაშიც დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შეფასდა წარმოდგენილი პროგრამა. ამასთან, პროგრამის საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით შემუშავების საწყის ეტაპზე გამოყენებულია ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი. დამატებით, პროგრამამ გაიარა გარე დამოუკიდებელი, კოლეგიალური შეფასებაც.

კოლეგიალური შეფასების მიზნით, დიპლომირებული სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამა გაეგზავნა ადგილობრივ დარგის წარმომადგენელ ექსპერტს, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მედიცინის ფაკულტეტის სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკისა და ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგიის კათედრის ასისტენტ-პროფესორს. გარე შემფასებლის მიერ

წარმოდგენილია პოზიტიური ხასიათის დასკვნა. დასკვნაში ყურადღება გამახვილებულია პროგრამის სტრუქტურის ლოგიკურობაზე, დაშვების წინაპირობების დაცულობაზე, მიზნებისა და სწავლის შედეგების რეალისტურობასა და მიღწევადობაზე, პრაქტიკული, სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ადეკვატურობასა და კომპლექსურობაზე. რჩევის სახით დასკვნაში გამოთქმულია მოსაზრება "გერიატრიული სტომატოლოგიის" და "სპეციალური საჭიროების სტომატოლოგიის" არჩევითიდან სავალდებულოში გადატანის თაობაზე. აღნიშნული გათვალისწინებულია პროგრამის ხელმძღვანელების მიერ, შესაბამისად სტრუქტურაში განხორციელებულია საპასუხო ცვლილებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- გარე შეფასების დასკვნა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და მონიტორინგის მიზნით, სეუ-ში დანერგილია ანგარიშვალდებულებითი სისტემა, რაც გულისხმობს პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის ყოველწლიურ წარმოებას და ამ მიზნით, სხვადასხვა სტატისტიკური თუ თვისებრივი მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს. დაწესებულების შიდარეგულაციების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების განხორციელების პროცესს, ხარისხის განვითარების დეპარტამენტთან თანამშრომლობით, უძღვება პროგრამის ხელმძღვანელი(ები). საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასება მოიცავს ინფორმაციასა და მტკიცებულებებს სასწავლო კურსის, ლექტორის, პროგრამისთვის საჭირო რესურსების შეფასების შესახებ. აქვე ვხვდებით მონაცემებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესახებ, სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგებს, განმახორციელებელ პროფესორ-მასწავლებელთა თვითშეფასებებს და ა.შ.

გარდა ამისა, PDCA ციკლის პირნციპების საფუძველზე შემუშავებულია და დანერგილია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, რომელიც მოიცავს სწავლის შედეგების შემუშავების, შეფასებისა და ანალიზის, კურიკულუმის მონიტორინგის ეტაპებს. პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდები. შეფასების პირდაპირი მეთოდი გულისხმობს სასწავლო კურსზე სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასებასა და ანალიზს. ამ მიზნით, მიმდინარეობს უწყვეტი დაკვირვება შუალედური და დასკვნითი გამოცდების პროცესსა და შედეგებზე, პრაქტიკისა და კვლევით კომპონენტზე, იქმნება სტუდენტთა პორტფოლიოები და ა.შ. არაპირდაპირი მეთოდებით შეფასების მიზნით კი უნივერსიტეტში ტარდება სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა სისტემური და საჭიროებაზე მორგებული გამოკითხვები (მაგ., კოვიდ-19 პანდემიის გამოწვევებთან დაკავშრებით). სასწავლო კურსის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, ყოველი სემესტრის ბოლოს, სტუდენტები კითხვარების მეშვეობით აფასებენ სასწავლო კურსებს და კურსის განმახორციელებელ ლექტორებს. მიღებული შედეგების საფუძველზე ხდება რეკომენდაციების შემუშავება და საჭიროების შემთხვევაში სასწავლო კურსის სილაბუსის მოდიფიცირება. გარდა ამისა, შეფასების არაპირდაპირ მეთოდად გამოიყენება კურსდამთავრებულთა დასაქმების მონაცემების შეგროვება და ანალიზი. ზემოაღნიშნული მიდგომებით მოხდება სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამის შეფასება და მონიტორინგიც.

ზოგადად, დაწესებულებაში სასწავლო და კვლევითი პროცესის მონიტორინგი ხორციელდება სხვადასხვა ასპექტისა და განზომილების შეფასების გზით. მათ შორისაა: უნივერსიტეტის ყოველწლიური თვითშეფასების წარმოება; პროგრამის ხელმძღვანელების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების სისტემა თვითშეფასების ანგარიშების წარმოების გზით; სალექციო და საგამოცდო პროცესის მონიტორინგი; პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის შეფასება; მატერიალური რესურსების შეფასება და სხვ.

გამომდინარე იქიდან, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა ახალია, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა მომიჯნავე პროგრამის შეფასების და მონიტორინგის შედეგები, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, გამოკითხვებისა და კვლევის შედეგები, რათა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნებულიყო დაწესებულებაში მონიტორინგისა და შეფასების სისტემის არსებობასა და გამართულობაში. შესწავლილი დოკუმენტები ცხადყოფენ, რომ მონიტორინგის სისტემა დაწესებულებაში სისტემატიზირებული და ქმედითია. პროგრამების მონიტორინგის პროცესში გამოყენებულია როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მონაცემები (გამოკითხვის შედეგები, სასწავლო კურსების თვითშეფასებები, აკადემიური მოსწრების შედეგები, პერსონალის კმაყოფილება და ა.შ.)

აღსანიშნავია, რომ სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამა შემუშავების პროცესში საწყის ეტაპზე ჩატარდა შრომის ბაზრის კვლევა, რათა დაწესებულებას შეესწავლა დასაქმების პერსპექტივები და დამსაქმებელთა მოთხოვნები როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე. ასევე, პროგრამა დადარდა ადგილობრივი და უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. ბენჩმარქინგის მიზნით შესწავლილ იქნა სსიპ-ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (საქართველო), შ.პ.ს. საქართველოს უნივერსიტეტის (საქართველო), ბოსტონის უნივერსიტეტის (აშშ), ლოძის სამედიცინო უნივერსიტეტისა (პოლონეთი) და მედიპოლის უნივერსიტეტის (თურქეთი) სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები, სწავლის შედეგები და კურიკულუმები.

განხორციელებული ღონისძიების მიზანი იყო მომხდარიყო საგანმანათლებლო პროგრამაში სხვა უნივერსიტეტების საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების გაზიარება, გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება და სამიზნე ინდიკატორების განსაზღვრა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დაწესებულებაში მზადდება პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ხელს შეუწყობს პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების პროცესის გამარტივებას, ელექტრონიზაციას, სისტემატიზაციას, რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს. პროგრამული სოფტი ჩაშენდება უნივერსიტეტის პორტალში და მოახდენს სხვადასხვა მონაცემის გენერირებას, მათ შორის სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებას, გამოკითხვის შედეგებს და სხვა. მონაცემების შეგროვება მოხდება სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებით გათვალისწინებული კომპონენტების მიხედვით (მაგ., გამოყენებული იქნება კურიკულუმის რუკები). ამავე მექანიზმების საფუძველზე, მიღებული მონაცემები ავტომატურად დადარდება პროგრამის სწავლის შედეგების მექანიზმით გაწერილ სამიზნე ნიშნულებს. აღნიშნული მნიშვნელოვნად გაამარტივებს პროგრამის მონიტორინგისა და სწავლის შედეგების შეფასების პროცესებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსის თვითშეფასების ფორმა;
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და შეფასების მეთოდოლოგია;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ანალოგ პროგრამებთან შედარების დოკუმენტი;
- დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვები;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი - სეუ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
დიპლომირებული სტომატოლოგი (ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა)

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება / სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	☒	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☐	☒	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნინო კორსანტია

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ეკატერინე ბეშკენაძე

ცოტნე სამადაშვილი

ქრისტინე ჩიხლაძე

გიორგი მღვდელაძე